გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 96
(11 655)

10 – 12 დეკემბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნოემბერში წაიკითხავთ:

- ქართულ საგარეო ხელისუფლებას ააგბირიგები სწავლობენ და ასწავლიან...
- ვალერი აბრამიძე – იბრძვი „ვალერი მრისხანე“
- ქართული ფეხბურთის ახალი ამბები
- რა ენაზე საუბრობენ თეთრაძე და დემეტრაძე მოედანზე?
- თქვენთვის, გორგალიზგორის მოყვარულებო!
- საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები
- გრანდიოზული კრონშტრდი, კითხვები ერუდიტებისთვის...

ქართული კალათბურთის სიურპრიზები

მათ შორის, ისიც, რომ გუშინ „დინამო“ – თსუ-სთან დაპარცხდა

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

საქართველოს კალათბურთულ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში ცენტრალური „ბასკოსი“ და „სტუ-ჭოროხელი“ შეხვედრა იყო. თამაშში სტუდენტთა უპირატესობით წარიმართა, ინიციატივა მათ ხელიდან ბოლომდე არ გაუშვიათ და გაიმარჯვეს კიდეც – 90:84. თბილისის „დინამომ“ დაძაბულ ბრძოლაში მხოლოდ ორი ქულის სხვაობით აჯობა რუსთავში „აზოტს“ – 74:72.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა „მაკაბი“ – თსუ-ს მატჩი, რომელშიც ქობულეტ ხუბაშვილის შეგირდებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და დაამარცხეს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი 108:94.

სხვა მატჩებში: „ჭუთაისი“ – „სტუ-ჭოროხელი“ – 63:72, სხუ – „აკადემია“ – 87:83, სხუ – აზოტი – 53:76, „მაკაბი“ – „აკადემია“ – 94:111.

სატურნირო ცხრილში 14 თამაშიდან 25 ქულით პირველ ადგილზეა სტუ-ჭოროხელი“. 23 ქულა აქვს „დინამოს“, თუმცა ამ უკანასკნელმა ორი თამაში უნდა ჩაატაროს. 12 თამაშიდან 21 ქულით მესამე ადგილზეა ქვეყნის ჩემპიონი „ბასკო“.

ბეშენი. გამოტოვებულ მატჩში ყველაზათვის მოულოდნელად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა „დინამო“ დაამარცხა! ამას ეი ნამდვილად არავინ ელოდა.

თავიდან „დინამო“ აქტიურობდა, ერთ მომენტში ისინი 17 ქულითაც დაწინაურდნენ, შემდეგ სტუდენტებმა მაინც შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გამარჯვების მოპოვება – 88:86.

ფეხბურთის დიდმოხელეთა სტუმრიანობა საქართველოში

ლატვიიდან დაბრუნებულმა სფუს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩალარიამ, რომელიც ფიფას პროგრამა „გოლის“ სემინარში მონაწილეობდა, ბალტიისპირეთიდან საკმაოდ გრცელი და საინტერესო ინფორმაცია ჩამოიტანა.

– საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის მშენებლობისთვის გამოყოფილია 250 ათასი შეეცაცარული ფრანკი. 17 დეკემბერს, თბილისში ჩამოვა უეფაში საქართველოს კურატორი შეეიცარიელი ბრუნო ვოლფისბერგი. ფიფასთან მიღწეულია შეთანხმება, რომ სფუ ფიფასაგან 250-300 ათასი ლარის ფარგლებში მიიღებს გრანტს სანაკრებო ბაზაზე უმაღლესი კატეგორიის ხელოვნური მოედნის საფარისათვის, რომელსაც თავად ფიფა შეიძენს და გამოუზავნის. მომავალი წლის 15-20 იანვარს კი პროგრამა „გოლის“ ხელმძღვანელი იუე ნეუფვარი და ამავე პროგრამის მოსკოვის ბიუროს თავკაცი ვალერი ჩუხარი ეწვევიან თბილისს. ფიფა თავის წევრ ასოციაციებს უსასყიდლოდ გადასცემს 100 ათას საფეხბურთო ბურთს, რომლის გარკვეულ რაოდენობას – სფუ აქციელებლად მიიღებს და უსასყიდლოდ დაურიგებს უმაღლესი ლიგის კლუბებს. პრაქტიკულად, მიღწეულია შეთანხმება ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის თბილისში ვიზიტის თაობაზე, რომელიც 2 აპრილს შეიგება. ბლატერი ჯერ ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრს გახსნის, მერე კი საქართველოსა და შეეიცარიის ნაკრებთა შესარჩევ მატჩს დაესწრება.

წლევანს, ალბათ, აღარ შეიგება სფუ-ს აღმასკომის სხდომა, რომელზეც სფუ-ს ყრილობის მოწვევის ვადა უნდა განსაზღვრულიყო. აღმასკომის ყველა წევრს აქვს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხა, მათი თანხმობა კონკრეტულ საკითხებზე დაუსწრებლადაც, შეკრების გარეშეც, შეიძლება მიიღონ ფეხბურთის ფედერაციაში. სფუ-ს ფიფადანაც და უეფადანაც აქვს მიღებული დასტური, რომ სფუ-ს წესდება ორივე საფეხბურთო ორგანიზაციისთვის მისაღებია! სფუ მომავალი ყრილობის მოწვევას კი 2003 წლის თებერვალში გარუდობენ.

რეევზე ქოქუაშვილი „ალანიაში“ მიდის

ელისტის „ურალანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა რევაზ ძოძუაშვილმა. მისი ადგილი იგორ შალიმოვმა დაიკავა. რაც შეეხება ძოძუაშვილს, იგი ვლადიკავკაზის „ალანიამ“ მიიწვია. ქართველ სპეციალისტს უახლოეს დღეებში ოფიციალურად დანიშნავენ „ალანიას“ მთავარ მწვრთნელად.

სვალ ევრო-2008-ის მასპინძელს დაასახელებენ

12 დეკემბერს, ვენაში ოფიციალურად გახდება ცნობილი ის ქვეყანა, რომელიც 2008 წელს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ სულ 7 კანდიდატი ქვეყანაა: რესპუბლ, ავსტრია – შვეიცარია, საბერძნეთი – თურქეთი, უნგრეთი, ირლანდია – ჩორტანდია, ბოსნია – ხორვატია და შვედეთი – ფინეთი – ნორვეგია-დანიის „აჯამრი“. სპეციალისტების აზრით, ყველაზე მეტი შანსი აქვთ რუსებს და ავსტრია-შვეიცარიის ღუეტს.

რაგბის მოედანს მხოლოდ დიდი დიღომი რომ ელოდება



დროდადრო საყვედურობენ მითქმა-მოთქმა გაისმის იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში რაგბი აღმაღლობის გზით მიდის, ქვეყანაში კი ერთი სტანდარტული სარაგბო სტადიონიც არ გაგეჩინა. პრობლემის გადაჭრას სამეული, როგორც ეტყობა, კიდევ დიდხანს არ დაადგება, მაგრამ გარჯეშების მოთხოვნების შესაფერისი სარაგბო მოედნის შენებლობა აღმაი გაისად უკვე დასრულება დიდ დიღომში II და III მიკრორაიონებს შორის აუთვისებელ სივრცეში. ცხადია, ეს დიდი შეღავათია.

ამ დღეებში თბილისის მერმა ცალკეული სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად მოინახულა დიდი დიღომი და იმ ობიექტებსაც ეწვია, რომლებიც მშენებლობის პროცესშია, მათ შორის კი რაგბის მოედანიაც. „დიდ დიღომს მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით და ვუთმობთ. ყველა პროექტს, რომელიც ამ დასახლებაშია განსახორციელებელი, აუცილებლად განვახორციელებთ“ — თქვა ვ. ზოდელავამ.

საბაბენტო „ბუმათი“.

ფანიაშვილი მოსკოვში მიიწვიეს

ფიფას ქართველი არბიტრი ლევან ფანიაშვილი ჭუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი იქნება დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე. ტურნირი მოსკოვში 18-26 იანვარს გაიმართება. *ლევან ფანიაშვილი შეეიბრებაზე მთავარ არბიტრადაა მიწვეული.*

ᲐᲮᲚᲜᲘ

შემდეგ ნომერში წაიკითხავთ:

„გორდონ ბენქსი – ცალთვალა მეკარე ანუ აუღებელი ციხე-სიმაგრე“

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში XXI ᲡᲣᲠᲗ



დინამო (თბ) – დინამო (მთ)

ფოტო ულრიხ მალისზვეიცის

3

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

ტაისონმა ვლადიმირ კლიჩკო ბრძოლაში გამოიწვია

„თუ ვატკაცი ხარ, დამირეკე...“ — აი, ამ სიტყვებით გამოიწვია ორთაბრძოლაში პროფესიონალმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო.

ჭიდკრივობით უცნობია რეაქცია უკრაინელის მხრიდან, თუმცა მოელიან, რომ კლიჩკო არაფერს დაუთმობს სანდალურით თავგადასავალებით სახელგანთქმულ „ტაისონ მაიკს“.

ვან გაალეა იცის, როგორ გამოიყვანონ „ბარსელონა“ კრიზისიდან

ესპანეთის პრემიერდივიზიონის მორიგ ტურში „ბარსელონას“ მარცხმა „რაიო-ვალეკანოსთან“ კატალონიური კლუბის გუსშემატკივართა აღშფოთება გამოწვია. თუმცა ვან გაალი (სურათზე) აღნიშნავს, რომ ეს იყო მისი შეგირდების ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა. მისი სიტყვებით, „რაიო-ვალეკანოსთან“ მას გუნდს, უბრალოდ, არ გაუშვარვლა.

— „ბარსელონა“ ამჟამად კრიზისშია, მაგრამ კარგად ვიცი, როგორ გამოვიდე ამ ჩიხიდან“, — თქვა ლუი ვან გაალმა. „ბარსელონას“ თავკაცი გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ნიუკასლთან“ გამარჯვებას პპირდება.

ფიფა ბელარუსში მილიონიან პროექტს განახორციელებს?

ცნობილი გახდა, რომ ფიფა ამირებს ერთმილიონიან დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელებას ბელარუსში 2003-2006 წლებში. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გაავრცო ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა მინსკში ყოფნისას. ბლატერმა ისიც თქვა, რომ ამ პროექტის განხორციელების საკითხზე ფიფას აღმასკომის უახლოეს სხდომაზე იმსჯელებენ. პროექტი ბელარუსში ფეხბურთის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეს ემსახურება, მათ შორის, ქალაო ფეხბურთსაც. გარდა ამისა, ბელარუსის ფეხბურთის ფედერაცია ფიფასაგან მიიღებს 500 ათას დოლარს ახალი ოფისის ან ახალი სტადიონის ასაშენებლად. გარდა ამისა, ბლატერმა აღნიშნა, რომ აქვს გეგმები თამაშის წესების შეცვლასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, 2003 წელს იუნიორ ფეხბურთელთა თამაშებზე მსაჯებს მოედნის გარეთ გაიყვანენ და ისე ამსაჯებენ.

რობის დაუბრუნდება მოედანს პაველ ბურე?

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ მატჩში მიღებულმა მძიმე ტრავმამ ეჭვქვეშ დააყენა რუსული ჰოკეის ვარსკვლავის პაველ ბურეს ბედი. თავდაპირველად ექიმები მიიჩნევდნენ, რომ ბურეს კარიერა საბოლოოდ დასრულდა, თუმცა გუშინ მისი კლუბის „ნიუ-იორკ რეინჯერსის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ბურეს დღეს ჩატარდება მარცხენა მუხლის ოპერაცია. წინასწარი მონაცემებით არ არის გამორიცხული, რომ რუსი ჰოკეისტი მოედანს სეზონის ბოლოსთვის დაუბრუნდეს.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 8 თვე დარჩა

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 2 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

შირაქი პარიზის კანდიდატურას უჭერს მხარს

„პარიზის არჩევა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქად – ეს იქნება ევროპის ამ უძველესი ქალაქისა და სრულიად საფრანგეთის აღიარება“ – განაცხადა ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, მისივე სიტყვებით ისიც იბრძოლებს იმისათვის, რომ საფრანგეთის დედაქალაქმა ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიიღოს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 2005 წელს, სინგაპურში დანიშნულ სოკ-ის სხდომაზე დასახელდება.

ბილიარდი საქართველოს პირველი ჩემპიონატი «პულში»

ამერიკული „პულიც“ მოშინაურდა

***ბილიარდი საქართველოში უცხო ხილი არასდროს ყოფილა. აი ამერიკული „პული“ კი შედარებით უცხო იყო. ჩვენებმა ახლა ისიც კარგად აითვისეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ბილიარდის ისტორიაში პირველად ჩატარდა ეროვნული ჩემპიონატი ამ სახეობაში (სახეობა „9“). ასპარეზობაში ჩაება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 32 მობილიარდე.**

კლუბი „ოლიმპია“, სადაც ეს ტურნირი გაიმართა, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ჩემპიონატს, რამაც დიდად შეიწყო ხელი ასპარეზობისადმი სერიოზული განწყობის ამოღებას.

მონაწილეობდა სხვადასხვა რეგიონის 32 მობილიარდე.

ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო 11 წლის ბექა მაღალაშვილი, რომელმაც პირველივე შეხვედრაში დაამარცხა საქართველოს ჩემპიონატის მეხუთე პრიზიორი გურამ ჭოლიაშვილი და საკმაოდ პრობლემატური დამსახურა.

ნახევარფინალში ლადო ასათიანმა მოუგო შალვეზ ჩიგოგიძეს, ხოლო ემილ თოფურიამ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს თემურაზ დონაძეს სძლია.

ფინალში ემილ თოფურიამ 7:1 აჯობა ლადო ასათიანს და საქართველოს ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

მეხუთე ადგილი დაიკავა შალვეზ ჩიგოგიძემ, რომელმაც დაამარცხა თემურაზ დონაძე — 5:4.

22 დეკემბრიდან კლუბი „ივერია“ უმასპინძლებს საქართველოს ჩემპიონატს „კლასიკურ პირამიდაში“.

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა

მარცხნიდან: ლადო ასათიანი, ემილ თოფურიანი, შალვეზ ჩიგოგიძე, ბექა მაღალაშვილი და საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი დავით აღუაშვილი

„გაძელი, დენი!“

გამარჯვებულები, მწვრთნელები, მსაჯები (ფოტოები რობერტ ბაგოიანისა)

ახლახან, ერთმა ცნობილმა მწვრთნელმა, რომელიც არც ერთ შეჯიბრებას არ გამოტოვებს თუკი მაში მონაწილეობენ მოზარდები, მითხრა: „ორ თვეულ წელიწადზე მეტია ვეწევრები ჭაბუკთა ჭიდაობას და, რასაც ბოლო ხანებში ვხედავ, სასწაულად მიმაჩნია — საიდან ამ თითისტოლა ბავშვებს ამდენი ენერგია, იმპროვიზაცია, არტისტიზმი, თანაც როგორი ჭკვიანები არიან ხალიჩაზე, დამიჯერეთ, რომ საოცარი მონაცემების თაობა მოდის“ — ეს თქვა თუ არა, იქვე დასძინა: „ცირის 1989-90 წლიანთა ფინალებია თავისუფალ ჭიდაობაში დიდმა მასიის საჭიდაო დარბაზში, ძალიან გთხოვ მოდი, რაც გითხარი, საკუთარი თვალით იხილავო“.

მიველი. ყველა ფინალური და მესამე ადგილისათვის გამართული პაექრობა ვნახე. მართლაც, რომ საოცარი შთაბეჭდილება დამრჩა. გარდა იმისა, რაც იმ მწვრთნელმა ადრე მითხრა, ჩემთვის უამრავი რამ აღმოვაჩინე. მხოლოდ იმ განცდებზე შევჩერდები, რომელიც მოპაჭერიდან მოღი დარბაზზე გადადიოდა, განცდა, იცით, ფსიქოლოგიური მომენტია, რომელსაც თან სდევს ან უარყოფითი ან დადებითი ემოციები. ხალიჩაზე, რაღა თქმა უნდა, ერთიც იყო და მეორეც, აკი ვთქვი, რაც ძალზე ნიშანდობლივია, — ხალიჩის მიმდაც.

არასდროს დამთვრწყდება ერთი მშობელი, როგორ ამხნევებდა თანატოლის მკვლავებში მომწყვდეულ კრიტიკულ სიტუაციაში თავის შვილს შეძახილით: „გაძელი, დენი!“. საბოლოოდ, როცა ამ ბავშვმა წაადო, დენამ იქვე წაძეხა: „არ ატირო, დენი!“ ან, სად იწრთობა ხასიათი. რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ პირადად მე დენის ეს სიტყვები ჩვენი ავბედითი ისტორიის გამოძახილად მომჩვენა. ალბათ, სწორედ ასეთები იყვნენ სამშობლოსათვის გულანთებულ ქართველ ვაჟკაცთა დედები — შვილებს პირთათმენისკენ, გამარჯვებისკენ შემზადებლები, მაგრამ თუ დამარცხდებოდა, ესეც ვაჟკაცურად უნდა გადაეტანა, ცრემლი არ უნდა ჩასდგომოდა თვალებში, სულმდაბლობის, სასოწარკვეთისა და უიმედობის ეს უტყუარი ნიშანი.

ზემოხსენებული ტურნირი ლეკან თეთნაშვილის სპორტული კლუბის ჭიდაობის სპორტსკოლის დიპლომანტების იყო, რომელშიც მონაწილეობდა თბილისში მომუშავე თაობისუფალი ჭიდაობის იმ სექციების აღსაზრდელები, რომელთა ასაკი 11-12 წელს არ აღემატება. სპეციალისტებმა განსაკუთრებით მიაქციეს ყურადღება ლაშა გიგაშვილს (მწვრთნელები მამა-შვილი შოთა და დიტო კოტორაშვილები), რომელსაც მომავალში მსოფლიოს ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს აგრეთვე ყველა გამარჯვებულმა, პრიზიორებიდან — ბექა ბენდიანიშვილმა, ლაშა ჭიქურაძე, ნოდარ სუთიაშვილმა...



ახლა კი გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს წონების მიხედვით.

23 კგ: 1. ზურაბ გუნია, 2. ლაშა ირემაშვილი; 26 კგ: 1. მეფლეფ ჩხაიძე, 2. გიორგი სარაჯიო, 3. იბრაგიმ ბელოევი; **29 კგ:** 1. ლაშა გიგაშვილი, 2. გიორგი დარახველიძე, 3. გიორგი ქელბაშვილი; **32 კგ:** 1. ბექა შაფლიშვილი, 2. ლაშა კანთელაძე, 3. ბექა გოგრიჭიანი; **35 კგ:** 1. გურამ ალიკო დვალიშვილი; **50 კგ:** 1. რევაზ ჯანელიძე, 2. მიხეილ ბეშიძე, 3. ირაკლი გოგინავა; **55 კგ:** 1. რევაზ ბიქაშვილი, 2. ირაკლი მალანაძე, 3. ირაკლი სალირაშვილი; **60 კგ:** 1. გიორგი წოწკოლური, 2. ლაშა მერაბიშვილი, 3. გრიგოლ ფარეშიშვილი; **66 კგ:** 1. გიორგი აბრამიშვილი, 2. ნოდარ ხელაშვილი, 3. ბექა ბუტკუური; **70 კგ:** 1. გიორგი საკანდელაძე, 2. შოთა ბიწაძე, 3. ედიშერ ბენდიანიშვილი; **ძრმ კგ:** 1. მიხეილ აბრამიშვილი, 2. თორნიკე შიოშვილი, 3. ლევან ბერანიძე.

თ. ოთმაშვილი

„ხრიდოლი“ მალე მთელ საქართველოს მოიცავს

ფოტოები ბობერტ ბაგოიანისა

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „ხრიდოლი“ ეროვნულ პატრიოტულ მუშაობას ეწევა ჩვენი ეროვნული საბრძოლო ხელოვნების ტრადიციების ასაღორძინებლად. ტარდება შეჯიბრებებიც. ამჟერად ფედერაციამ დიდმა სპორტულ კომპლექსში ჩაატარა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში „ხრიდოლის“ 7 გუნდის მონაწილეობით. თბილისელთა გარდა, სარბიელზე გიხილეთ ახალციხის, ადიგენის, ქუთაისის, ცაგერის, ხობის, ჯაზრეთის წარმომადგენლები, სულ 140-მდე სპორტსმენი. თბილისურმა გუნდმა, რომელსაც „იბერიელი მგლები“ ჰქვია, 10 პირველი ადგილი დაიკავა და საერთო გამარჯვებაც მას ხვდა.

„ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ვაზიაროთ ქართულ ტრადიციულ საბრძოლო ხელოვნებას, ამ შეჯიბრებამ კი დაადასტურა, რომ „ხრიდოლის“ ჯგუფები წარმატებით მუშაობენ ჩვენს რეგიონებში“ — თქვა საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის „ხრიდოლის“ დარბაზის თავკაცმა ნუკრი შენიდელაძემ.

ასაკის მიხედვით თავიანთ წონებში გამარჯვებულები არიან: სოსო ავრიანაშვილი, უშა კობიაშვილი, შოთა თბოლაშვილი, გიორგი ცხვედიანი, გიორგი ლაგაზაური, დათა რუხაძე, რომან ხუნდაძე, ზურაბ ფერცულიანი, ზურაბ ანდღულაძე, ბექა შელაძე, ირაკლი ავრიანაშვილი, თორნიკე კობიაშვილი, ქაბა კუსიანი, კარლო ჩხაიძე, ლაშა ჯანჯღავა, გიორგი სარალაშვილი, დათო ხიდეშელი, დავით თათიაშვილი, გოგა ოსეფაშვილი.

თარიღი. ნომრიდან – ნომრამდე!

6 დეკემბერი. 95 წლის წინათ დაიბადა ჯოვან ფერარი, — იტალიელი ფეხბურთელი, 1934 და 1938 წლების მსოფლიოს ჩემპიონი.

80 წელი შეუსრულდა ფეხბურთში ბელგიის ნაკრების მწვრთნელის დ. გი ტისის დაბადებიდან.

7 დეკემბერს (1948 წ.) დაიბადა ავსტრიის საფეხბურთო ნაკრების წევრი 1978, 1982 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში დ. როლანდ ჰიტენბერგერი.

8 დეკემბერს (1963 წ.) ინგლისში დაამტკიცეს ფეხბურთის პირველი წესები;

— ნიუ-იორკში შედგა ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის 143 მონაწილე გუნდის წილისყრა;

— დაიბადა (1941 წ.) დ. ჯეფერი ჩარლზ ჰერისტი — ინგლისელი ფეხბურთელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი. ნაკრებში ითამაშა 49 მატჩი, გაიტანა 24 გოლი.

9 დეკემბერს (1909 წ.) შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ბორუსია“.

50 წლის წინათ, ბაქოში გამართულ სხრ კავშირის 1952 წლის ჩემპიონატში, თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური პირველობა მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ვ. გიგოაძე, ნ. მუზაშვილი, ზ. დენოშვილი, ვ. ილურიძე, ვ. ბალავაძე, დ. ციმაკურიძე, ი. კანდელაკი, ბ. თედეევი.

დინამო (თბ) – დინამო (ბათ) 2-0

ზამთრის სუსხი და ხშირი ბურუსი მთელი მატჩის განმავლობაში ფონად ედო ეროვნულ სტადიონს. ფეხბურთელებმა, ალბათ სიცივისგან თავის დასაღწევად, პირველი წუთებიდან მაღალი ტემპი შესთავაზეს ერთმანეთს. პირველი ხიფათი მე-10 წუთზე შეიქმნა, როდესაც დარასელია პირისპირ დარჩა ტოგონიძესთან, მაგრამ ბათუმელთა გოლკიპერმა ამჯერად გადაარჩინა გუნდი. მიმდინარეობდა მე-13 წუთი, როცა კარლოსმა კომბინაცია წამოიწყო, რაც ბურდულმა საჯარიმოში ჩაწოდებით გააგრძელა. იქ ალუჩაძე დაეცდა ბურთს და ლამაზ ნახტომში თავით გადავზავნა ბათუმელთა კარში 1-0. შემდეგ თამაში დაწყნარდა. პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში და ერთბურთიანად სხვაობით გაიელა.

მეორე ტაიმი სანახაობრიობ უკეთესი გამოდგა. 55-ე წუთზე ვიტალი დარასელია საჯარიმოში შეიჭრა, ორი მცველი ჩვეული ფინტებით ჩამოიცილა და მეკარის ახლოს ჩააწოდა. იქ კი, ტოგონიძეს მაუტსაძემ დაასწრო და ბურთი ხელით ჩამოხსნა. არბიტრმა მეშვიდემ უყოყმანოდ თერმომეტრიანი დანიშნა, რაც დარასელიამ შეასრულა, მაგრამ ტოგონიძემ მშვენიერ ნახტომში მოიგერია დინამოელის დარტყმა. აღილებული თერმომეტრიანის შემდეგ თბილისელები უფრო გააქტიურდნენ და სახიფათო მომენტებს უხვად ქმნიდნენ. ხან კერკეზია ურტყამდა შორიდან სახიფათოდ, ხანაც — გოგობერიშვილი, მაგრამ ვარაფური მოუხერხებულობით რიგებში აჭარად მოუელთებელ ტოგონიძეს. თუმცა მეორე გოლს ვერ გადაურჩა ბათუმის „დინამო". აჭარელთა საჯარიმოში მიღებულ ბურთს გოგობერიშვილმა ყუმბარისებური დარტყმით მიუწინა ადგილი მოწინააღმდეგის კარში. თბილისელებმა სარჩმაოდ ეს ეყოფილ საჭირო სამი ქულა მოიითვალეს.

ლაშა გოგია

უმაღლესი ლიგა. XXI ტური

გორდა	— ვიტ ჯორჯია	2-3
სიონი	— ტორპედო	0-1
ლოკომოტივი	— მერანი	1-0
დინამო (თბ)	— დინამო (ბათ)	2-0
მილანი	— დილა	0-3
კოლხეთი 1913	— მეტალურგი	8-1

XXII ტურის ანონსი

12 დეკემბერი

ვიტ ჯორჯია — კოლხეთი 1913
მეტალურგი — მილანი
დილა — დინამო (თბ)
დინამო (ბთ) — ლოკომოტივი
მერანი — სიონი
ტორპედო — გორდა

ასხაზეთის რეგიონალური შეღრაცების განცხადება

აფხაზეთის არ. ფეხბურთის ფედერაცია აწ. 13 დეკემბერს 12 საათზე სპორტის დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში — ჯავახიშვილის №49 ტერიტორიაზე იმართავს ზონის რეგიონალური ლიგის I წრის, აგრეთვე: გ. ჩოხელის, ს. მეტრეველის, მ. მესხის, ვ. დარასელიას სახელობის თასის გათამაშების შეჯამებელ თათბირს მონაწილე გუნდების პრეზიდენტების, მთ. მწვრთნელების, ბავშვთა საფეხბურთო სკოლების დირექტორების მონაწილეობით.

გთხოვთ დასწრებას და საკითხების განხილვაში მონაწილეობას.

აფშ

უფალმა გვიმრავლოს ასეთები

დარწმუნებით შეიძლება ითქვას ერთი რამ, ვინც კეთილ საქმეს აკეთებს, მადლი მხოლოდ იმისათვის რომ დია, ვისაც ვეხმარებით, არამედ თვით კეთილი საქმის მკეთელსათვისაც უკვე რამდენიმე წელია შ.პ.ს. მაგთიკომის ზუგდიდის ფილიალის წარმომადგენელი მამუკა (კახა) ახალაია აქტიურად მონაწილეობს ზუგდიდის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შეიანობაში. იგი უოველმხრივ ეუწყობს ხელს და ეხმარება ზუგდიდში ბავშვთა ფეხბურთის, ცალკეულ მზარდ პრესპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

მამუკა ახალაია ამასთან, ხაზოგადოებრივ საწყისებზე თავგადაცობს ზუგდიდის „დინამოს" მეტერან ფეხბურთელთა გუნდს და თავადაა ამ გუნდის უფროსი.

გელა ნაჭყებია,
„ლელის" კორესპონდენტი
სამგრელოს რეგიონში.

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

XXI ტური

ლოკომოტივი – მერანი-91

„ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულ მატჩზე, სადაც „ლოკომოტივი" „მერანს" ეთამაშა, საინტერესო გამოდგა ვერ ტუდი, თუმცა, მასპინძელთა უპირატესობა საგრძნობლად გამოკვეთილი იყო და გ.მარჯვენისაკენ მათი სწრაფვა დასაფასებია. პირველ ნახევარში რუნიგზელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდნენ სირაძე, კაიდარაშვილი, ბურნაძე. ამ ფეხბურთელებმა ბეგრჯერ შეშნეს სახიფათო მომენტები, მაგრამ დარტყმები იყო უზუსტო, ან მეკარე კარგად იცავდა კარს. 33-ე წუთზე შორიდან კვარცხლიას დარტყმა კი ძელმა მოიგერია. ასხლეტილ ბურთს სირაძე დაეუღლა, დაუყოვნებლივე გალიაროს მიაწოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს შანსი ვერ გამოიყენა. 61-ე წუთზე ორბელაძემ კარგად იოპაშა, თუმცა ნაკუსია ალღოიანად დახვდა ბურთს. გოლის გატანა კი მხოლოდ 78-ე წუთზე შეძლო ახალშემოსულმა გონაულიშა, რომელმაც ბურნაძე შეცვალა. გამვებული ბურთით გაწბილებული სტუმრები თითქოს გამწარდნენ. ჩიქვინაძემ რამდენჯერმე შექმნა სახიფათო მომენტი, მაგრამ მცველები ყველა ბურთს იგერიებდნენ. გალიაროსაც არაერთხელ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ, ეტყობა ანგარიში 1-0 არ უნდა შეცვლილიყო და ასეც მოხდა. „ლოკომოტივმა" მორიგი სამი ქულით გაახარა შეფები და გულშემატკივრები.

ლელა გაბაკოტაძე

XXI ტურის სტატისტიკა

8 დეკემბერი. ფოთი. სტადიონი „ფაზისი". 200 მაყურებელი.

ტორპედო 1913 – მეტალურგი 8-1

კოლხეთი: მ. გვასალია, ქუტიძე (ბალთური 46), ჭობერელაძე, გორაზია (ფილია 46), სვანაძე, ღონღაძე, გაგუა, ფანწურიძე, გურგენაძე, ე. გვასალია (ლ. ბურციელავა 62), კრასნოვსკი.

მეტალურგი: ა. ლაბაძე (მერკვილიშვილი 46), გურგენიძე, მაღლაკელიძე, ჯობაძე, გაბრიელაძე, სუხიაშვილი (გოგაძე 46), სულაკაძე, ფოფხაძე, ენდელაძე, თაბერიძე, ნიშნიანიძე.

გოლები: 1-0 ე. გვასალია (15), 2-0 ღონღაძე (17), 3-0 კრასნოვსკი (32), 4-0 გაგუა (35 პ), 5-0 ჭობერელაძე (45), 6-0 ჭობერელაძე (58), 7-0 სვანაძე (61), 7-1 ენდელაძე (73), 8-1 კრასნოვსკი (86).

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

8. დეკემბერი. თბილისი. სტადიონი „სინათლე". 100 მაყურებელი.

მილანი – დილა 0-3

მილანი: მამალაძე, ტარელაშვილი, ჭაბუკიანი, ჯოფარიძე (ეგაძე 73), მეტრეველი, ლომპაშიძე (ვართაგავა 73), ჭალიაშვილი, ჭარხავა, მ. სამხარაძე, შელეგია.

დილა: თ. იღუარიძე, რ. ხაჩაპურიძე, ლომიძე, დავითნიძე, საფარელიძე (გ. ჩიტაია 78), ფეზუაშვილი, სულთანიშვილი (ხმალაძე 80), ჯობაძე, გ. ჩიტაია, ძოძუაშვილი, რაზმაძე (გ. რევაზიშვილი 84).

გოლები: 0-1 ძოძუაშვილი (59), 0-2 გ. ჩიტაია (67), 0-3 ხმალაძე (84).

გაფრთხილება: საფარელიძე (50), ვართაგავა (74).

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

8 დეკემბერი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 500 მაყურებელი

დინამო (თბ) – დინამო (ბათ) 2-0

დინამო (თბ): ზოიძე, კარლოსი, შათაშვილი, ცერკველია, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია (ახალაია 76), ანჩაბაძე (ანდღულაია 63), გოგობერიშვილი, ალექსიძე.

დინამო (ბთ): ტოგონიძე, მაჭარაძე, მიქნადე, კობიძე, ხუჭაძე, მაჭუტაძე, ტუღუში (სეფერთელაძე 84), დარსიძე (ბექანიძე 78), თურმანიძე (ფულეჭიშვილი 78), მოდებაძე, ქაცარავა.

გოლები: 1-0 ალექსიძე (12), 2-0 გოგობერიშვილი (74), 56-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა ბურდულმა.

გაფრთხილება: მაჭუტაძე (55).

მსაჯი: ა. მუშკუდიანი (თბილისი)

8 დეკემბერი. თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი" 200 მაყურებელი

ლოკომოტივი – მერანი 1-0

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქაძე, გ. ონიანი (სოსელია 67), თ. ბერნაძე (გონსალესი 46), გ. კვარაცხელია, სირაძე, ჰიქვიდშვილი, კაიდარაშვილი (გოგიბაშვილი 59), გალიარდო.

მერანი: ნაჭყებია, გუჯაბიძე, ადუაშვილი, ჭინჭარაული, დვეიძე, მესხი, ი. შენგელია (გრიგორიევი 89), გ. იღუარიძე, ბაჭილაძე (ფირცხალაშვილი 62), კოშაძე, ჩიღვინიძე.

გოლები: 1-0 გონსალესი (78)

გაფრთხილება: ჩიღვინიძე (40)

მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

8 დეკემბერი. ბოლნისი. თ. სტეფანიას სახ. სტადიონი. 1000 მაყურებელი

სიონი – ტორპედო 0-1

სიონი: ვოლკოვი, სიდამონიძე (ირემაშვილი 12), გოგიტაძე, გ. ჩხაიძე, ცქიფურიშვილი, გაბასკირია, კვეკვესკირი, ბაქრაძე, შავგულიძე, ისიანი (გ. ქორიძე 73), დ. გოდერძიშვილი (ყაციაშვილი 61).

ტორპედო: ჭანტერია, მახვილაძე, ლ. ქულიძე, ქუმსიაშვილი, ჩოგსხიძე (ლაღაძე 54), გამეზარდაშვილი (ჩხუტანი 60), ასათიანი, აბალაკაცი, პოროშინი, ქუთათელაძე, კვეტენაძე (ქილარია 64).

გოლი: 0-1 ასათიანი (90). 90-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა ქორიძემ.

გაფრთხილება: გამეზარდაშვილი (29), პოროშინი (49), ისიანი (19), გოლკოვი (81)

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

8 დეკემბერი. რუსთავი. სტადიონი „ფილადი". 500 მაყურებელი

გორდა – ვიტ ჯორჯია 2-3

გორდა: ბეგიაშვილი, არსოშვილი, ბუნრაძე, ბერიძე, ზაზაშვილი, ზ. ლაბაძე, ჩოხელი (სოხაძე 46), გოცირიძე, ჭელაძე, კ. ალადაშვილი, ზუ. ლაბაძე.

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე (მამარდაშვილი 33), თ. კობიაშვილი, ინწკირველი, ფუჩირი, ვ. გოჩაშვილი, ლ. ნოზაძე, დიომედოშვილი, დ. დოლიაძე (დ. ქოჭაშვილი 59), გველესიანი, ადამია (ფიქრიშვილი 78), მელქაძე.

გოლები: 0-1 ადამია (14), 0-2 მელქაძე (24), 0-3 ადამია (27), 1-3 ბუნრაძე (65), 2-3 გოცირიძე (71).

გაფრთხილება: ალადაშვილი (83).

მსაჯი: ი. კახიანი (თბილისი)

ბომბარდირი — მელქაძე (ვიტ ჯორჯია) — 15

ჭაბუკთა შორის გ. ჩოხელის სახელობის თასის საქართველოს (დასავლეთის ზონა) 2002-2003 წლების გათამაშების პირველი წრის ცხრილი



«ა» ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
1. კოლხეთი 2 (ფოთი)	13	12	1	0	35-7	37
2. დინამო (ქუთაისი)	13	10	2	1	39-12	32
3. გაბალეები 85 (ქუთაისი)	13	9	1	3	28-13	28
4. იმედი 2 (ქუთაისი)	13	8	4	1	30-13	28
5. ოკეანე (სამტრედია)	13	7	4	2	26-13	25
6. ლუკა (ბათუმი)	13	7	3	3	42-14	24
7. ტორპედო 86 (ქუთაისი)	13	6	1	6	27-17	19
8. მემორიალი (ქუთაისი)	13	5	3	5	27-29	18
9. იმერეთი (ქუთაისი)	13	4	1	8	21-24	13
10. კოლხიდა 86 (ქუთაისი)	13	3	4	6	18-40	13
11. მეშახტე (ტყიბული)	13	3	2	8	11-28	11
12. შევარდენი (ზესტაფონი)	13	1	3	9	15-37	6
13. კახაბერ (სენაკაჩარი)	13	1	1	11	15-40	4
14. ცხუმი 2000 (ქუთაისი)	13	0	0	13	4-51	0

«ბ» ჯგუფი

1. იმერეთი 85 (ქუთაისი)	13	11	0	2	36-13	33
2. შევარდენი (ქუთაისი)	13	10	3	0	30-8	33
3. დინამო (ბათუმი)	13	9	1	3	26-10	28
4. ოოლია (სოხუმი)	13	7	4	2	25-15	25
5. კოლხეთი (ფოთი)	13	7	4	2	24-16	25
6. ოდიში 2001 (ზუგდიდი)	13	6	2	5	22-20	20
7. სპარტაკი (ლანჩხუთი)	13	5	1	7	23-23	16
8. მარვეე 86 (ქუთაისი)	13	4	4	5	12-16	16
9. კოლხიდა 85 (ქუთაისი)	13	4	3	6	11-22	15
10. განაათლება (ბათუმი)	13	3	3	7	13-18	12
11. ლოკომოტივი (სამტრედია)	13	3	2	5	15-26	11
12. შუქურა (ქობულეთი)	13	2	2	9	12-32	8
13. იმედი (ქუთაისი)	13	1	4	8	14-24	7
14. დინამო 2 (ქუთაისი)	13	1	3	9	13-33	6

სამეგრელოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია.

რევაზ არველაძე ახალგაზრდების გაწვრთნას იწყებს



ახალი მწვრთნელის, რევაზ არველაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პირველად, 13 დეკემბრის შეკრებაზე სასტუმრო „ვესაზღურეზე". ორი დღის შემდეგ, კერის, 15 დეკემბერს კი არველაძის შეგირდები მინდორზეც გავლენ. გეგმაშია ამხანაგური — საკონტროლო მატჩი თბილისის „ლოკომოტივთან".

რ. არველაძე

კორალიძე შეგირდებს იტალიაში წაიყვანს

კორალიძე

ახლახან იყო, საქართველოს 19 წლამდელთა ჯგუფის ნაკრებმა თბილისში ბელგიელებს, უკრაინელებს და ფარერელებს, რომ ა-ჯობა და „შინაურ კედლებში“ ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია. თუმცა, ფინალური სტადიაში მოსახვედრად ჩვენებს კიდევ ერთი, გაცილებით რთული, მეორე ეტაპის გავლა მოუწევთ, რომელსაც 1-7 მაისს იტალია უმასპინძლებს. ქართველი ჯარისკაცების მომავალი წლის პაექრობებში იქნებიან: მასპინძლები — იტალიელები, ლატვიელი და არც უეფამ დააყენა, თითქმის, ექვსი თვით ადრე, მინი-ტურნირში მონაწილე ქვეყნებს შეჯიბრების კალენდარი დაუგზავნა.

ჩრდილოეთირლანდიელი თანატოლები.

ევროპის 2002-03 წლების ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის VII ჯგუფის კალენდარი ასეთია:

02. მაისი. 03. — იტალია — ლატვია; საქართველო — ჩრ. ირლანდია
04. მაისი. 03. — საქართველო; ლატვია — ჩრ. ირლანდია
06 მაისი. 03. — ჩრ.ირლანდია — იტალია; ლატვია — საქართველო

ვალერი აბრამიძე – იგივე „ვალერი მრისხანე“

ახალი თაობის ფეხბურთელები

ვალერი აბრამიძე — დაიბადა — 1980 წლის 17 იანვარს, ვანში. ფეხბურთის თამაში 8 წლის ასაკში დაიწყო „ნორჩ დინამოელში“. ამ გუნდთან ერთად ბევრჯერ გაუმარჯვნია სხვადასხვა ტურნირებში. სერგო ბარესიანმა და რეზო გაგუამ თამამში დიდი როლი მას ფეხბურთულად ჩამოყალიბებაში. არის საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში. უთამაშია ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში. ამჟამად მოსკოვის „სპარტაკშია“. უცოლია. ჰყავს შვილები, და.

● ვალერი, რით დაიწყო შენში ფეხბურთის სამყარომ შეცნობა?

— ბავშვობიდან ვოცნებობდი სპორტსმენობაზე, კერძოდ, ფეხბურთელობაზე. 8 წლისამ ავიარულე ნატერა, როცა „ნორჩ დინამოელში“ ჩავირიცხე. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

● თუ იყო ვინმე წინააღმდეგი შენი არჩევანის?

— არა, არავინ.

● „ნორჩი დინამოელის“ შემდეგ ეროვნული ჩემპიონატის სხვადასხვა გუნდებში თამაშობდი. რომელი გუნდის გახსენება გგვრის ხიამოვნებას?

— ალბათ, „ტორპედოს“, რადგან ბოლოს ქუთათურების შემადგენლობაში გამოვიდიოდი.

● ამჟერად შენ გუნდი მოსკოვის „სპარტაკია“. როგორ გაიარე ადაპტაცია?

— ძალიან კარგად. ნამდვილად არ გამჭირვებია.

● ქუთაისის „ტორპედო“ ერთ-ერთი ძლიერი გუნდია ეროვნულ ჩემპიონატში. თუ შეგიძლია შედარება გაუკეთო „ტორპედოსა“ და „სპარტაკს“ შორის?

— შედარება ძნელია. „ტორპედო“ და „სპარტაკი“ სხვადასხვა სტილის გუნდებია. თუ დონეს გიგულისხმებთ, რუსთა სახალხო გუნდი უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე ქუთაისური.

● „სპარტაკი“ ის გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან“, „პანათინაიკოსთან“ და „ვალენსიასთან“ ერთად გამოვიდოდა. ეს, ალბათ, ბევრის მოქნილია.

— დიახ, ჩემპიონთა ლიგაზე რომ გავიდეს „ტორპედო“, ცხადია, მეტ გამოცდილებას შეიძენს.

● ხახალოგუნდში, თუ უყოფილა შენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მატჩი?

— კი, „ლიეპრპულთან“. ამ გუნდთან შინ დავმარცხდით. ეს იყო ჯგუფის მნიშვნელოვანი მატჩი, რომლისგანაც დიდი იმედგაცრუება ვიგემე მეც და ყველამ..

● თანაც შინ თამაშობდით, ალბათ, ძირითადად, ამას გულისხმობ იმედგაცრუებაში?

— რა თქმა უნდა. ყველას მოგება გვინდოდა.

● „სპარტაკში“ შენამდე ბიზანეიშელი და მეავაძე თამაშობდნენ, რომლებმაც მთავარი მწვრთნელის, რომანცევის იმედები ვერ გაამართლეს.

— ვეცდები, რომ ბიზანეიშელსა და მეავაძეს არ გავმართლდათ. არადა, ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან.

● შენ გაამართლე?

— ალბათ, ფაქტით თუ გიმსჯელებთ...

● რა, ძირითად ში რომ თამაშობ?

— დიახ!

● რა გეგმები აქვს შენს გუნდს ხამპიონობაზე?

— არ ვიცი. აი, ჩავალ და შევიტყობ.

● ვის თან მეგობრობ „სპარტაკში“?

— თითქმის ყველასთან. გამორჩეულად კი ბესწასტნიხთან ვარ ახლოს. ბესწასტნიხი ქართველმა მაყურებელმა საკმაოდ კარგად იცნო — რუსეთის თამაშზე გაიცნო.

● შეგიძლია დაახასიათო როგორი ფეხბურთელია?

— ძალიან კარგი. მოყვლებას კარგად არ ამთვეს თავს. ეს ალბათ ქართველებმაც ნახეს. პიროველება როგორიც არ გიკითხავთ. ტექნიკით, ძალიან კარგი ბიჭია.

● ეროვნულ ნაკრებებზე ჩამოგვარდა საუბარი და იქნებ მთხრა, როგორი გაწყობა ჰქონდა შენ მეგობრის საქართველოს წინააღმდეგ თამაშის წინ?

— მხოლოდ ერთი რამ სურდა, მოგება. აზრი და გაწყობაც შენდაგაც ნამდვილად არ შეუცვლია.

● თითქმის ყველა ხპორტსმენს ტრავმა ხდევს თან. შენ თუ შეუწუხებიხარ?

— არა, არასდროს, არც მინდა შემაწუხოს..

● „სპარტაკის“ გარდა, იყო სხვა გუნდებიდან შემოთავაზება?

— ჯერჯერობით, არა.

● თუ იქნება, სხვაგან წახვალ?

— თუ კარგი გუნდი იქნება და მისაღები პირობები, ვნახოთ, ალბათ, წავალ.

● ფეხბურთის გარდა, სპორტის რომელიმე სახეობა თუ გიზიდავს?

— კალათბურთი.

● შეგიტყვე...

— რითი?

● ვერის ბაღში როომ შეგხვდი კალათბურთზე.

— ???

● როგორაა ვალერიანა ბრამიძე ფეხბურთის მოქმა?

— ჩვეულებრივი.

● ჩვეულებრივი რას გულისხმობ. ალერხიანს, მშვიდს, ხანდახან მშფოთვარეს თუ...

— არც ერთს. სულ სხვანაირი ვარ.

● მაინც, როგორი?

— ისეთი, როგორიც მოვდანზე.

● გამოდის, რომ მრისხანე ხარ...

— დიახ, ასეთია ჩემი ხასიათი.

● ბურთის გატანასაც როგორაა ოქტევი, მაინც უყელას უყვარი?

— ბურთი ძალიან იშვიათად გამაქვს, შეიძლება ითქვას, არც კი. ასე რომ, არ ვიცი, როგორი ვარ გოლის გატანის შემდეგ.

● პროფესიონარული გაჭეს, ხამწვრთნელო უმაღლესი განაწლება მიგიღია. აპირებ მომავალში მწვრთნელად მუშაობას?

— ამაზე არ მიფიქრია. შეიძლება გავდე კიდეც.

● ცნობილ ადამიანებს ჭირაში ყოველთვის ამხრევენ. შენ თუ გცნობენ?

— არ ვიცი, არ გაკვირდები.

● გამოდის რომ უურადღებას არავის აქცევ...

— შეიძლება ასეცაა.

● ნაცნობებსაც არ აქცევ უურადღებას?

— არა, ნაცნობებს როგორ არა. უცნობებს ვგულისხმობ.

● უცნაურია. ახლა კი მითხარი, როგორ ერთობი თავისუფალ დროს?

— მეგობრებთან ერთად ვარ.

● მეგობრები ალბათ ბევრი გყავს...

— კი, ძალიან ბევრი.

● ოჯახშიდასვენებასაუობიხარ?

— ოჯახსაც გარკვეულ დროს ვუთმობ.

● საუბარში „ვალერიმრისხანეს“ პოპულარული გამოიყენებთ. არ მითხრა, რომ შეიძლება გოგონებთანაც ასეთი ხარ. გყავს შენი რჩეული?

— შეიძლება გოგონები ბევრი მყავს. შეყვარებული — არა. ალბათ, ნაცნობ გოგონებთან მრისხანებას ვერ ვავლენ, თორემ გამეტუტებოდნენ...

● უფროსებს დარიგება უუვართ, როგორ აღიქვამ შეგონებებს?

